



2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ონლაინ მედიის მონიტორინგი

31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ (CDI) ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2016 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით და მოიცავს 17 ონლაინ გამოცემას: allnews.ge, ambebi.ge, droni.ge, etanews.ge, info9.ge, interpressnews.ge, marshalpress.ge, netgazeti.ge, newposts.ge, news.ge, palitratv.ge, pirveli.com.ge, presa.ge, reportiori.ge, tabula.ge, civil.ge, dfwatch.net.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია მედიამონიტორინგის შედეგები 31 აგვისტოდან 25 სექტემბრის ჩათვლით.

მასალის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- ონლაინ მედიაში კვლავ ყველაზე აქტიურად შუქდებოდა პოლიტიკური პარტიები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
- მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას საგრძნობლად იმატა უარყოფითი ტონის, ხოლო „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ გაშუქებისას - დადებითი ტონის მაჩვენებლებმა;

- მონიტორინგისთვის შერჩეული 17 ვებგვერდიდან 11-ზე ჭარბობდა უატყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ხოლო 2 ვებგვერდზე მმართველი გუნდის გაშუქებისას;
- 8 ვებგვერდზე ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები მმართველი გუნდის გაშუქებისას, არცერთ ვებგვერდზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას;
- ონლაინ მედიაში შეინიშნება კრიტიკული ანალიზის ნაკლებობა. საკმაოდ იშვიათად გვხვდება ჟურნალისტთა მსჯელობა და საკითხების სიღრმისეული ანალიზი. ვებგვერდები, ხშირ შემთხვევებში, მხოლოდ პოლიტიკოსთა განცხადებებსა და სახვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთა საქმიანობას აშუქებენ;
- ვებგვერდების უმეტესობა მეტ-ნაკლებად იცავს ჟურნალისტურ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს. თითქმის არ გვხვდება ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები.
- ონლაინ მედიის სერიოზულ გამოწვევად რჩება სარედაქციო მასალებისა და კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადოდ გამიჯვნა;
- მონიტორინგის მოცემულ პერიოდში მონიტორინგისთვის შერჩეულმა 5-მა ონლაინ გამოცემამ უცვლელად გამოაქვეყნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია აჭარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ქველმოქმედების მიზნით სისხლის გაღების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ხუთი ვებგვერდიდან არცერთს არ მიუთითებია, რომ მალასა მოპოვებული იყო სამინისტროს ვებგვერდიდან;
- მსგავსი მაგალითი გამოვლინდა ნაძალადევის რაიონში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის შესახებ მომზადებულ სტატიაშიც, რომელიც იდენტური ტექსტითა და სათაურით გამოაქვეყნა ხუთმა ვებგვერდმა. ხუთიდან მხოლოდ ერთ ვებგვერდს ჰქონდა მითითებული, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

(შენიშვნა: მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი შეფასებები ეყრდნობა მხოლოდ პოლიტიკურ სუბიექტა გაშუქების ანალიზს)

allnews.ge


მონიტორინგის მესამე პერიოდში, allnews.ge-ზე საგრძნობლად იმატა დადებითი ტონის მაჩვენებლებმა სახელისუფლებო გუნდის გაშუქებისას. ვებგვერდი განსაკუთრებულად აქტიურად აშუქებდა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წინასაარჩევნო საქმიანობას.

allnews.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობა (17%), პარტიები „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (16%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (14%), აგრეთვე პრემიერ-მინისტრი (12%) და ექს-პრემიერი ბიძინა ივანიშვილი (12%) გაშუქდა. დადებითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა პრემიერ-მინისტრის (68%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (35%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი კი პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (26%) ერგო.

პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მიმართ დადებითი განწყობა ვებგვერდზე შეიმჩნევა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი დაკვირვების შედეგად. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში allnews.ge განსაკუთრებულად აქტიურად აშუქებდა აღნიშნული პარტიის წინასაარჩევნო დაპირებებს; მაგალითად: „დაპირებები, რომლის შესრულებას „ქართული ოცნება“ მომავალი 4 წლის განმავლობასი გვპირდება“ (9 სექტემბერი); „მომდევნო 4 წლის განმავლობაში დაგეგმილია 50 საავტომობილო გვირაბის მშენებლობა“ (17 სექტემბერი).

შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის მესამე პერიოდში, allnews.ge-ზე საგრძნობლად იმატა დადებითი ტონის მაჩვენებლებმა პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ გაშუქებისას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა.

სუბიექტების გაშუქება allnews.ge-ზე
ტონის მიხედვით (%)
(31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)



ambebi.ge


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, ambebi.ge-ზე მკვეთრად გაიზარდა დადებითი ტონის მაჩვენებლები პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, ხოლო უარყოფითი ტონის მაჩვენებლები პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქებისას. ვებგვერდი განსაკუთრებულად აქტიურად აშუქებდა მმართველი პარტიის წინასაარჩევნო საქმიანობას.

ambebi.ge-ზე ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (18%), მთავრობა (15%), ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილი (13%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (11%) გაშუქდა. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პარტიას „ქართულ ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (29%) და პრემიერ-მინისტრს (27%), ხოლო უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (31%) ერგო. დადებითი ან უარყოფით ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არცერთი სხვა სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის მესამე პერიოდში, ambebi.ge ვრცლად აშუქებდა პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წინასაარჩევნო დაპირებებს (მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ სტატია „რას შეცვლის „ქართული ოცნება“ თუ კვლავ ხელისუფლებაში დარჩება - მმართველი გუნდის 6 მთავარი დაპირება“, 9 სექტემბერი). აღსანიშნავია, რომ სხვა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო დაპირებებს ვებგვერდი ნაკლებად აშუქებდა.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ambebi.ge-ზე შეინიშნება დადებითი განწყობა მმართველი პარტიის, ხოლო უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა.

სუბიექტების გაშუქება ambebi.ge-ზე
ტონის მიხედვით (%)
(31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)



civil.ge


მონიტორინგის მესამე პერიოდში, civil.ge-ზე არ შეიმჩნეოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. civil.ge გამოირჩევა საკითხების სიღრმისეული ანალიზით და ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნებით ცალკეულ სტატიებში.

civil.ge-ზე ყველაზე აქტიურად პრემიერ-მინისტრის (28%), პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (12%), ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (10%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (10%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გამოვლინდა პრემიერ-მინისტრის გაშუქებისას, რაც განაპირობა იმან, რომ civil.ge-მ ვრცლად გააშუქა მისი გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სადაც პრემიერმა მისი მმართველობის დროს მიღწეულ წარმატებებს გაუსვა ხაზი (მაგალითად: “PM Addresses UN General Assembly”; “PM Kvirikashvili’s UN Speech”, 22 სექტემბერი).

დადებითი ან უარყოფით ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები არცერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ civil.ge კვლავ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვებგვერდი მაღალ დონეზე იცავს ჟურნალისტურ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს.

სუბიექტების გაშუქება civil.ge-ზე
ტონის მიხედვით (%)
(31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)



dfwatch.net


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, dfwatch.net-ზე საგრძნობლად იმატა უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა საპარლამენტო ოპოზიციის, ექს-პრეზიდენტისა და ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ გაშუქებისას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა. dfwatch.net გამოირჩევა ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნებით ცალკეულ სტატიებში.

dfwatch.net-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (14%), პარტიების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (14%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (13%) საქმიანობები გაშუქდა. უარყოფით ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (58%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (56%) და პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (54%) გაშუქებისას. დადებით ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი მთავრობას (19%) ერგო.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ dfwatch.net-ზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. მონიტორინგის მესამე პერიოდში

ვებგვერდზე საგრძნობლად იმატა უარყოფით ტონის მაჩვენებლებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას.

სუბიექტების გაშუქება dfwatch.net-ზე
ტონის მიხედვით (%)
(31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)



droni.ge


მონიტორინგის მესამე პერიოდში, droni.ge-ზე სტატიების დიდი ნაწილი რეკლამის ნიშნით ქვეყნდებოდა. ვებგვერდი სათანადოდ არ მიჯნავს სარეკლამო სტატიებს სარედაქციო მასალებისგან. droni.ge-ზე გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია, სადაც ჟურნალისტები უაღრესად დადებითად აშუქებდნენ დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატ ცეზარ ჩოჩელის წინასაარჩევნო საქმიანობას.

droni.ge-ზე ყველაზე აქტიურად პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (24%), ცენტრალური საარჩევნო კომისია (23%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (14%) და დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატი ცეზარ ჩოჩელი (10%) გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გამოვლინდა პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (34%) გაშუქებისას. დადებით ტონის მაღალი მაჩვენებლები კი ცეზარ ჩოჩელსა (77%) და აჭარის მთავრობას (67%) ერგო.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში droni.ge-ზე გამოქვეყნდა არაერთი სტატია, სადაც ვებგვერდის ჟურნალისტები დადებითად აფასებდნენ ცეზარ ჩოჩელის საქმიანობას; მაგალითად: „აი, ამიტომ ვუჭერ მხარს ცეზარ ჩოჩელს“ (31 აგვისტო); „გაჭირვებაც ნახა, ომიც და ათასი ცილისწამებაც, მაგრამ მაინც ძლიერად დგას და ხალხს ასაქმებს“ (8 სექტემბერი). აღსანიშნავია, რომ ეს სტატიები ქვეყნდებოდა სარეკლამო ნიშნის გარეშე.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ droni.ge-ზე ცხადად შეინიშნება უაღრესად დადებითი განწყობა დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატ ცეზარ ჩოჩელის მიმართ. ვებგვერდზე სტატიების დიდი ნაწილი კი სარეკლამო ნიშნით ქვეყნდება.

სუბიექტების გაშუქება droni.ge-ზე
ტონის მიხედვით (%)
(31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)



etanews.ge


მონიტორინგის მესამე პერიოდში, etanews.ge-ზე კიდევ უფრო იმატა უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიმართ, ხოლო დადებითი ტონის მაჩვენებელი მაღალია სახელისუფლებო გუნდის გაშუქებისას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა.

etanews.ge-ზე ყველაზე აქტიურად ადგილობრივი თვითმმართველობების (26%), მთავრობის (24%), პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (15%), პრემიერ-მინისტრისა (12%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (9%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ადგილობრივი თვითმმართველობების (75%), მთავრობის (41%) და პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (22%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებელი კი პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (72%), ერგო.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, etanews.ge-ზე იმატა უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა საპარლამენტო

ოპოზიციის, ხოლო დადებითი ტონის მაჩვენებლებმა სახელისუფლებო გუნდის გაშუქებისას.

სუბიექტების გაშუქება etanews.ge-ზე
ტონის მიხედვით (%)
(31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)



info9.ge

მონიტორინგის მესამე პერიოდში, info9.ge-ზე საგრძნობლად იმატა უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. ვებგვერდზე კვლავ ჭარბობს დადებით ტონის მაჩვენებლები სახელისუფლებო გუნდის გაშუქებისას. ხშირად გვხვდება სტატიები, რომლებიც არ არის რედაქციის მიერ მომზადებული, თუმცა, არც ისაა მითითებული, თუ საიდან არის აღნიშნული სტატიები მოპოვებული. info9.ge განსაკუთრებულად აქტიურად აშუქებს პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წარმომადგენელთა წინასაარჩევნო საქმიანობას.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, info9.ge-ზე ყველაზე აქტიურად პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (27%), მთავრობისა (22%) და პრემიერ-მინისტრის (13%) საქმიანობა გაშუქდა. აღნიშნულ სუბიექტებთან მიმართებაში ჭარბობდა დადებით ტონის პროცენტული მაჩვენებლები, ხოლო უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი მაჩვენებლები კი ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა (83%) და პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (67%) ერგოთ.


info9.ge ერთ-ერთია იმ ხუთი ვებგვერდიდან, რომლებმაც მონიტორინგის მოცემულ პერიოდში უცვლელად გამოაქვეყნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია აჭარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის

თანამშრომლების მიერ ქველმოქმედების მიზნით სისხლის გაღების შესახებ. ამ ხუთი ვებგვერდიდან არცერთს არ მიუთითებია, რომ მასალა მოპოვებული იყო სამინისტროს ვებგვერდიდან. აღსანიშნავია, რომ იგივე სტატია გამოაქვეყნა interpressnews.ge-მ, რომელსაც მითითებული ჰქონდა, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მსგავსი მაგალითი გამოვლინდა ნაძალადევის რაიონში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის შესახებ მომზადებულ სტატიაშიც. აღნიშნული სტატია იდენტური ტექსტითა და სათაურით გამოაქვეყნეს ვებგვერდებმა info9.ge, pirveli.com.ge, newposts.ge და interpressnews.ge. მხოლოდ interpressnews.ge-ს ჰქონდა მითითებული, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ info9.ge-ზე ცხადად შეინიშნება უარყოფითი განწყობა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ვებგვერდზე არ არის გამოქვეყნებული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები სარედაქციო მასალებისგან.

სუბიექტების გაშუქება info9.ge-ზე
ტონის მიხედვით (%)
(31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)



interpressnews.ge


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, interpressnews.ge-ზე იმატა უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. interpressnews.ge მიჯნავს სარედაქციო მასალებს კომერციული ხელშეკრულებების ფარგლებში მომზადებული სტატიებისგან, თუმცა აღნიშნულ სტატიებს განმარტება მითითებული აქვს ლათინური სიმბოლოებით, რაც შეიძლება მკითხველისთვის მარტივად გასაგები არ იყოს.

interpressnews.ge-ზე ყველაზე აქტიურად გაშუქდა მთავრობისა (24%) და პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (17%), საქმიანობა. უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა (49%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (40%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები კი ადგილობრივ თვითმმართველობებს (37%), აჭარის მთავრობას (27%), მთავრობას (24%) და „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ (23%) ერგოთ.

მონიტორინგისთვის შერჩეული რამდენიმე ვებგვერდისგან განსხვავებით, interperssnews.ge მითითებას იძლევა კომერციული ხელშეკრულებების ფარგლებში მომზადებულ სტატიებისთვის. თუმცა, აღნიშნული მითითება არ არის ადვილად გასაგები მკითხველისთვის. მითითებები შესრულებულია ლათინური სიმბოლოებით (სიმბოლო “NS”), რომელთან კურსორის მიახლოებისას იწერება „News from Subscriber“). უმჯობესია იქნება, რომ ვებგვერდმა მსგავს სტატიებს დაურთოს ისეთი მინიშნებები, რომლებიც უფრო ადვილად გასაგები იქნება მკითხველისთვის.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის მესამე პერიოდში, interpressnews.ge-ზე შეინიშნებოდა შედარებით დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდის, ხოლო უარყოფით განწყობა საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტის მიმართ.

სუბიექტების გაშუქება **interpressnews.ge**-ზე
ტონის მიხედვით (%)
(31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)



marshalpress.ge

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, **marshalpress.ge**-ზე კიდევ უფრო იმატა დადებითი ტონის მაჩვენებლებმა სახელისუფლებო გუნდის, ხოლო უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. ვებგვერდზე გვხვდება სტატიები, რომლებიც არ არის რედაქციის მიერ მომზადებული, თუმცა, მითითებული არაა თუ საიდან არის აღნიშნული მასალა მოპოვებული. **marshalpress.ge** განსაკუთრებულად აქტიურად აშუქებს პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წარმომადგენელთა წინასაარჩევნო საქმიანობას. ვებგვერდზე გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები.


marshalpress.ge-ზე ყველაზე აქტიურად პრემიერ-მინისტრის (19%), პარტიების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (16%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (14%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (80%), „რესპუბლიკური პარტიის“ (75%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა (62%) და ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (51%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები კი პრემიერ-მინისტრს (51%), მთავრობასა (48%) და „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ (41%) ერგოთ.

სახელისუფლებო გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ დადებითი განწყობა **marshalpress.ge**-ზე შეინიშნება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი

ანალიზის შედეგად ვებგვერდზე არაერთხელ შეგვხვდა არნიშნული სუბიექტების დადებითი შეფასებები; მაგალითად: „...საქართველოს ყოფილმა პრემიერმა, ბიძინა ივანიშვილმა ქართულ პოლიტიკურ სპექტრს მასტერკლასი კიდევ ერთხელ ჩაუტარა...“ („განცხადება, რომელმაც „ნაციონალებისა“ და რუსეთუმეების მზე ერთდროულად დააბნელა“, 14 სექტემბერი).

marshalpress.ge ერთ-ერთია იმ ხუთი ვებგვერდიდან, რომლებმაც მონიტორინგის მოცემულ პერიოდში უცვლელად გამოაქვეყნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია აჭარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ქველმოქმედების მიზნით სისხლის გაღების შესახებ. ამ ხუთი ვებგვერდიდან არცერთს არ მიუთითებია, რომ მასალა მოპოვებული იყო სამინისტროს ვებგვერდიდან. აღსანიშნავია, რომ იგივე სტატია გამოაქვეყნა interpressnews.ge-მ, რომელსაც მითითებული ჰქონდა, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.


მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ marshalpress.ge-ზე ცხადად შეინიშნება ერთი მხრივ დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის, ხოლო მეორე მხრივ, უკიდურესად უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ვებგვერდზე გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები.



მონიტორინგის მესამე პერიოდში, netgazeti.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე შედარებით ჭარბობდა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კრიტიკა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკა გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა მიერ დარედაქტირებულ ტექსტებში. ვებგვერდზე დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. აღსანიშნავია, რომ netgazeti.ge მკაფიოდ მიჯნავს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ სტატიებს სარედაქციო მასალებისგან. netgazeti.ge გამოირჩევა საკითხების სიღრმისეული ანალიზით და ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნებით ცალკეულ სტატიებში.

netgazeti.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (18%), პარტიების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (12%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (12%) საქმიანობები გაშუქდა. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (23%) ერგო. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის სხვა სუბიექტების გაშუქებისას არ გამოვლენილა.

შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ netgazeti.ge კვლავ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვებგვერდი მაღალ დონეზე იცავს ჟურნალისტურ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს.



მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, newposts.ge-ზე კიდევ უფრო გაიზარდა დადებითი ტონის მაჩვენებლები სახელისუფლებო გუნდის გაშუქებისას. ვებგვერდი განსაკუთრებულად აქტიურად აშუქებს პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წარმომადგენელთა წინასაარჩევნო საქმიანობას. newposts.ge-ზე გზვდება სტატიები, რომლებიც არ არის რედაქციის მიერ მომზადებული, თუმცა, მითითებულიც არ აქვს, თუ საიდან არის აღნიშნული სტატიები მოპოვებული.


მონიტორინგის მესამე პერიოდში newposts.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (24%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (21%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (29%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (29%) გაშუქებისას გამოვლინდა. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები კი ადგილობრივ თვითმმართველობებს (50%), „ქართულ ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (43%), პრემიერ-მინისტრსა (33%) და მთავრობას (28%) ერგოთ.

newposts.ge ერთ-ერთია იმ ხუთი ვებგვერდიდან, რომლებმაც მონიტორინგის მოცემულ პერიოდში უცვლელად გამოაქვეყნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, აჭარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ქველმოქმედების მიზნით, სისხლის გაღების აქტის შესახებ. ამ ხუთი ვებგვერდიდან არცერთს არ მიუთითებია, რომ მასალა მოპოვებული იყო სამინისტროს ვებგვერდიდან. აღსანიშნავია, რომ იგივე სტატია გამოაქვეყნა interpressnews.ge-მ, რომელსაც მითითებული ჰქონდა, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მსგავსი მაგალითი გამოვლინდა ნაძალადევის რაიონში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის შესახებ მომზადებულ სტატიაშიც. აღნიშნული სტატია იდენტური ტექსტითა და სათაურით გამოაქვეყნეს ვებგვერდებმა newposts.ge, pirveli.com.ge, info9.ge და interpressnews.ge. მხოლოდ interpressnews.ge-ს ჰქონდა მითითებული, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ newposts.ge-ზე ცხადად შეინიშნება დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდის, ხოლო უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ვებგვერდზე არ არის გამიჯნული რედაქციის მასალები და კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები.

სუბიექტების გაშუქება newposts.ge-ზე
ტონის მიხედვით (%)
(31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)




news.ge

მონიტორინგის მესამე პერიოდში, news.ge-ზე შედარებით იმატა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კრიტიკამ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა.

news.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (18%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (12%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (9%) საქმიანობები გაშუქდა. დადებითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გამოვლინდა მთავრობისა (33%) და პრემიერ-მინისტრის (28%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი კი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (34%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა (34%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილს (31%) ერგოთ.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით, news.ge-ზე იმატა საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტის კრიტიკამ. თუმცა უნდა არინიშნოს, რომ კრიტიკა გვხვდება რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში.

სუბიექტების გაშუქება news.ge-ზე
ტონის მიხედვით (%)
(31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)



palitravt.ge


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, palitravt.ge-ზე შედარებით იმატა უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქებისას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა.

palitravt.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (27%), ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (12%), ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (11%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (10%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (8%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (34%), ხოლო დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მთავრობის (19%) გაშუქებისას გამოვლინდა.

მონიტორინგის პერიოდში, palitravt.ge-ზე გვხვდებოდა ვებგვერდის მიერ მომზადებული სპეციალური მასალა, პოლიტიკური ხასიათის პროგრამები და ასევე ამონარიდები სხვადასხვა პროგრამებიდან. აღნიშნულ პროგრამებსა და ამონარიდებში რესპონდენტთა შერჩევისას დაცული იყო ბალანსი და გვხვდებოდა როგორც მმართველი პარტიის, ასევე საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა საკმაოდ ხანგრძლივი გამოსვლები.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, palitravt.ge-ზე შედარებით იმატა საპარლამენტო ოპოზიციის კრიტიკამ. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

სუბიექტების გაშუქება palitravt.ge-ზე
ტონის მიხედვით (%)
(31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)



pirveli.com.ge

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, *pirveli.com.ge*-ზე უკიდურესად გაიზარდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. ვებგვერდზე ხშირად გხვდება სტატიები, რომლებიც არ არის რედაქციის მიერ მომზადებული, თუმცა, მითითებული არ აქვს, თუ საიდან არის აღნიშნული მასალა მოპოვებული. *pirveli.com.ge* განსაკუთრებულად აქტიურად აშუქებს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წარმომადგენელთა წინასაარჩევნო საქმიანობას.

pirveli.com.ge-ზე ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (31%) და მთავრობის (18%) საქმიანობები გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (87%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (87%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები კი ადგილობრივ თვითმმართველობებს (61%), აჭარის მთავრობას (41%), „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველო“ (25%) და მთავრობას (22%) ერგო.


pirveli.com.ge ერთ-ერთია იმ ხუთი ვებგვერდიდან, რომლებმაც მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, უცვლელად გამოაქვეყნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, აჭარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ქველმოქმედების მიზნით სისხლის გაღების შესახებ. ამ ხუთი ვებგვერდიდან არცერთს არ მიუთითებია, რომ მასალა მოპოვებული იყო სამინისტროს ვებგვერდიდან. აღსანიშნავია, რომ იგივე სტატია გამოაქვეყნა

interpressnews.ge-მ, რომელსაც მითითებული ჰქონდა, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მსგავსი მაგალითი გამოვლინდა ნამალადევის რაიონში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის შესახებ მომზადებულ სტატიაშიც. აღნიშნული სტატია იდენტური ტექსტითა და სათაურით გამოაქვეყნეს ვებგვერდებმა pirveli.com.ge, newposts.ge, info9.ge და interpressnews.ge. მხოლოდ interpressnews.ge-ს ჰქონდა მითითებული, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ pirveli.com.ge-ზე ცხადად შეინიშნება უარყოფითი განწყობა პარტიისადმი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ვებგვერდზე არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალები და კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები.

სუბიექტების გაშუქება pirveli.com.ge-ზე
ტონის მიხედვით (%)
(31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)



presa.ge


მონიტორინგის მესამე პერიოდში, presa.ge-ზე რაოდენობრივი შედეგების ანალიზისას არ შეინიშნებოდა ან დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ, თუმცა, თვისობრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა უარყოფითი განწყობა მმართველი პარტიის გაშუქებისას. აღნიშნული პარტიის გაშუქებისას ვებგვერდზე არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტთა მხრიდან ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები.

presa.ge-ზე ყველაზე აქტიურად პარტიების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (15%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (13%), ექს-პრემიერ ბიძინა

ივანიშვილისა (12%) და მთავრობის (11%) საქმიანობა გაშუქდა. დადებით ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არცერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

თვისობრივი დაკვირვების შედეგად presa.ge-ზე გამოვლინდა უარყოფითი განწყობა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ გაშუქებისას. 22 სექტემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში „ოლქების ნაწილი, სადაც „ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები არჩევენ აგებენ“, ჟურნალისტი მსჯელობს მმართველი პარტიის სხვადასხვა ოლქში სავარაუდო დამარცხების შესახებ, თუმცა ეს მსჯელობა სათანადო არგუმენტებით არ არის გამყარებული და გაუგებარია, თუ რა მონაცემებზე დაყრდნობით მსჯელობს ჟურნალისტი. სტატიაში „რა პროვოკაციებს გეგმავენ მცხეთის მუნიციპალიტეტში?“ (20 სექტემბერი), ჟურნალისტი საუბრობს მმართველი პარტიის წარმომადგენელთა მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტში პროვოკაციების მოწყობის გეგმის შესახებ, თუმცა სტატიაში არ არის წარმოდგენილი ფაქტები, რომ ასეთი გეგმა არსებობს; ჟურნალისტი წერს: „თუ გამარჯვებას ვერ ახერხებ, არჩევნები უნდა გააყალბო - ალბათ სწორედ ამ დევიზით იხელმძღვანელებს მცხეთის გამგეობის მაღალჩინოსნებმა, როცა მორიგი პროვოკაციის მოწყობა დაგეგმეს“.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ presa.ge-ზე ცხადად შეინიშნება უარყოფითი განწყობა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ გაშუქებისას. აღნიშნული პარტიის გაშუქებისას რიგ შემთხვევებში ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.



მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, reportiori.ge-ზე კიდევ უფრო იმატა დადებითი ტონის მაჩვენებლებმა სახელისუფლებო გუნდის და უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. ვებგვერდზე გვხვდება სტატიები, რომლებიც არ არის რედაქციის მიერ მომზადებული, თუმცა, მითითებული არ აქვს წყარო, თუ საიდან იქნა აღნიშნული სტატიები მოპოვებული. reportiori.ge განსაკუთრებულად აქტიურად აშუქებს პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წარმომადგენელთა წინასაარჩევნო საქმიანობას. ვებგვერდზე გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები.

reportiori.ge-ზე ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (29%), მთავრობა (13%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (12%) და პრემიერ-მინისტრის (11%) საქმიანობები გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (95%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (89%) და ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (69%) გაშუქებისას. დადებითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები კი პრემიერ-მინისტრს (74%), „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ (60%), ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილსა (47%) და მთავრობას (45%) ერგო.


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, reportiori.ge ძალზე აქტიურად აშუქებდა პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წინასაარჩევნო დაპირებებს. რიგ შემთხვევებში სტატიების სათაურებში აღნიშნული დაპირებები წარმოდგენილი იყო როგორც ფაქტები, მითითების გარეშე, რომ ეს ციტატები წარმოადგენდა პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პროგრამის ნაწილს; მაგალითად: „ქართული ოცნება“ 200 ათას ახალ სამუშაო ადგილს შექმნის“ (9 სექტემბერი); „ქართული ოცნება“ მნიშვნელოვან მიწის რეფორმებს გაატარებს“ (9 სექტემბერი); „ხელისუფლება გააგრძელებს დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ეფექტიან პოლიტიკას“ (11 სექტემბერი); „არნახული ცვლილებები საქართველოს ინფრასტრუქტურაში - სად აშენდება ახალი გზები, ხიდები და გვირაბები მომდევნო 4 წელიწადში (17 სექტემბერი).

reportiori.ge ერთ-ერთია იმ ხუთი ვებგვერდიდან, რომლებმაც მონიტორინგის მოცემულ პერიოდში უცვლელად გამოაქვეყნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, აჭარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ქველმოქმედების მიზნით სისხლის გაღების

შესახებ. ამ ხუთი ვებგვერდიდან არცერთს არ მიუთითებია, რომ მასალა მოპოვებული იყო სამინისტროს ვებგვერდიდან. აღსანიშნავია, რომ იგივე სტატია გამოაქვეყნა interpressnews.ge-მ, რომელსაც მითითებული ჰქონდა, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ reportiori.ge-ზე შეინიშნება დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდის, ხოლო უკიდურესად უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტის მიმართ.

სუბიექტების გაშუქება reportiori.ge-ზე
ტონის მიხედვით (%)
(31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)




tabula.ge

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, tabula.ge-ზე კვლავ შეინიშნებოდა შედარებით უარყოფით განწყობა მთავრობის მიმართ. თუმცა, მთავრობის კრიტიკა ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები tabula.ge-ზე არ გამოვლენილა.

tabula.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (18%), პარტიების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (17%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (16%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (15%) საქმიანობებს აშუქებდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გამოვლინდა მთავრობის (36%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი კი პრემიერ-მინისტრს (35%) ერგო.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ tabula.ge-ზე არ შეინიშნება ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

სუბიექტების გაშუქება tabula.ge-ზე
ტონის მიხედვით (%)
(31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)



დასკვნა

მონიტორინგის მესამე პერიოდში ონლაინ მედიაში საგრძნობლად იმატა უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო დადებითი ტონის მაჩვენებლებმა პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, გაშუქებისას.

ქართულ ონლაინ მედიაში კვლავ შეინიშნება კრიტიკული ანალიზის ნაკლებობა. ვებგვერდების უმრავლესობა უკომენტაროდ აქვეყნებს სხვადასხვა პოლიტიკოსის განცხადებებსა და სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობას. იშვიათად გვხვდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება და ანალიზი. ასევე, საკმაოდ იშვიათია ცალკეულ სტატიებში განსხვავებული მოსაზრებებისა და შეხედულებების წარმოდგენა. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები საკმაოდ იშვიათად გვხვდება.

ონლაინ მედიის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება სარედაქციო მასალებისა და კომერციული ხელშეკრულებების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მონიტორინგის მესამე პერიოდში, ხუთმა ონლაინ გამოცემამ უცვლელად გამოაქვეყნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია და ამ ხუთი ვებგვერდიდან არცერთს არ მიუთითებია, თუ საიდან იყო მასალა მოპოვებული.